ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723059001**

თარიღი:**28/02/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის - ნინო ჭანიშვილის სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნინო ჭანიშვილი მივლინებულ იქნას ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით დაგეგმილ, ,,პოლიტიკური ფორუმი გენდერული თანასწორობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის“ ღონისძიებაზე დასასწრებად, 2023 წლის 27 თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი